

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქუთაისი 2006“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212880168) დაფუძნებულია 2006 წლის 30 სექტემბერს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N 685/021) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი შოთა რუსთაველის გამზირი N5. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების ჩადება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოგების მიღების და სასრგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით, კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის შპს ბ დ ა ნ ინვესტი (საიდენტიფიკაციო კოდი 404636499). კომპანიას 2007 წლის 07 აგვისტოს განახორციელა ინვესტიცია შპს „ ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში“ , რომელიც წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მართვის უფლებით გადაცემისა და მისი რეაბილიტაციის შესახებ. (დაფუძნებულია 2002 წლის 10 ივნისს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N12/5/გ-1265) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ვაჟა ფშაველას ქუჩა N1. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბავშვო ატრაქციონებით მომსახურება. დამატებით საქმიანობებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის სუვენირების და გამაგრებელი სასმელების რეალიზაცია და ფართების გაქირავება.)

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 32 -ს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია

ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მიყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადისახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად; ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება სამემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ.

5. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

ნეტო ამონაგები	671965
საქონლის გაყიდვიდან	560
მომსახურების გაწევიდან	383903
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0
სხვა	287502

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი მოიცავს სხვადასხვა სახის გამაგრილებელი სასმელების რეალიზაციას, რომელიც შეადგენს 560 ლარს, მომსახურების გაწევიდან შემოსავალი მოიცავს საბავშვო ატრაქციონების მომსახურებას 383903 ლარს და სხვა შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავალს 287502 ლარს, სულ ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში ჯამში შეადგენს 671965 ლარს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1234
საწყისი მარაგები	322
მარაგების შესყიდვა	1204
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	292

საწყისი მარაგები მოიცავს სხვადასხვა სახის გამაგრილებელი სასმელების ნაშთს 322 ლარს, შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 1204 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -1234 ლარს, საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის შეადგენს 292 ლარს.

დასაქმებულთა ანაზღაურება	292062
ცვეთა და ამორტიზაცია	271503
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	375214
სულ საოპერაციო ხარჯები	938779

დასაქმებულთა ხელფასმა შეადგინა 292062 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 271503 ლარი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 375214 ლარი. სულ საოპერაციო ხარჯი 938779 ლარი.

დასახელება	2024 წ
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-268048
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	-268048
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-268048
მოგება/ ზარალი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	-268048
მოგება/ზარალი არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0

მთლიანმა სრულმა მოგება/ზარალმა 2024 წელს შეადგინა -268048 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

შპს „ქუთაისი 2006“

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	671965	594162
საქონლის გაყიდვიდან	560	954
მომსახურების გაწევიდან	383903	285735
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	287502	307473
გაყიდვების თვითღირებულება	-1234	-705
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	670731	593457
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-292062	-240593
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-271503	-259516
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-375214	-316381
სულ საოპერაციო ხარჯები	-938779	-816490
საოპერაციო მოგება	-268048	-223033
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0
მიღებული დივიდენდები		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-268048	-223033
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-268048	-223033

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-268048	-223033
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-268048	-223033
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	-268048	-223033
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	-268048	-223033
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-268048	-223033
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3118567	3370238
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	15661	-28638
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2866180	3118567

6. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შენიშვნა N1 - ფული და ფულადი ექვივალენტები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	<u>7901</u>
1	სალარო	1444
2	ბანკი	6457

ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 3336 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 1209592 ლარი, გასულია 1205027 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 7901 ლარი.

შენიშვნა N 2 - სავაჭრო მოთხოვნები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	<u>44156</u>
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	44156

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 22788 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 796700 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 775332 ლარი და დარჩა მისაღები 44156 ლარი.

შენიშვნა N3 -მარაგები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	<u>292</u>
1	მზა პროდუქცია	292

საწყისი მარაგების ნაშთი შეადგენს 322 ლარს. მარაგების შეძენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 1204 ლარს,რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -1234 ლარს,საბოლოო მარაგების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს 292 ლარს.

შენიშვნა N4 -არამატერიალური აქტივები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	64773
1	არამატერიალური აქტივები	64773

არამატერიალური აქტივი წლის დასაწყისში შეადგენს 66825 ლარს, დარიცხული ცვეთა 2052 ლარი, რომელიც წარმოადგენს უფლებას მართვის მოპოვებისათვის,წლის ბოლოს შეადგინა 64773 ლარი.

შენიშვნა N5 -ძირითადი საშუალებები

დასახელება	1	2	3	4	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2023 წელი	206783	2868666	28014	1588	3105051
შემოსვლა			11766	381	12147
გასვლა					
ცვეთა		246945	22496	11	269452
ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	206783	2621721	17284	1958	2847746

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

- 1 ჯგუფი - მიწა.
2. ჯგუფი - შენობები და ნაგებობები.
3. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები.
4. ჯგუფი- ოფისის არჭურვილობა და ავეჯი.

შენიშვნა N 6 - სავაჭრო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	17400
1	სავაჭრო ვალდებულებები	17400

სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში იყო 13945 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 360205 ლარი, გასტუმრებული იქნა 356750 ლარი, ხოლო სავაჭრო ვალდებულების ნაშთმა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგინა 17400 ლარი.

შენიშვნა N7 - ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	16070
1	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	16070

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში იყო 7350 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 16070 ლარი.

შენიშვნა N8- საგადასახადო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	54130
1	სულ საგადასახადო ვალდებულებები	54130

წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 54130 ლარი.

შენიშვნა N9- სხვა ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	11088
1	სულ საგადასახადო ვალდებულებები	11088

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სხვა ვალდებულებები იყო 6543 ლარი, წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება სხვა ვალდებულებები 11088 ლარი.

შენიშვნა N10 - კაპიტალი

N	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	ჯამურად
1	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-8750230	431130	11437667	3118567
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-252387		0	-252387
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა				
4	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-9002617	431130	11437667	2866180

შპს „ქუთაისი 2006“

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	7901	3336	195
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	44156	22788	19773
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0	0
მარაგები	3	292	322	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		292	292	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4	64733	66825	68875
ძირითადი საშუალებები	5	2847746	3105051	3362314
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		2964868	3198322	3451157
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	6	17400	13495	10160
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	16070	7350	11812
საგადასახადო ვალდებულებები	8	54130	52367	52183
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	9	11088	6543	6764
სულ ვალდებულებები		98688	79755	80919
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		431130	431130	431130

გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-9002617	-8750230	-8336038
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		11437667	11437667	11476414
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		2866180	3118567	3571506
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	10	2866180	3118567	3571506
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2964868	3198322	3708114
სულ მოკლევადიანი აქტივები		52309	26446	27785
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		37558	21387	55123

ფულადი სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2024წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4565
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4565
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3336
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7901